განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ)

ააიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ირინა დვალი წევრ(ებ)ი: ნათია ქოქუაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**234066346**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი, სტალინის ქ.№111**
ფაქტობრივი მისამართი	**ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დაბა ლენტეხი, სტალინის ქ.№111**
საფოსტო ინდექსი	**2900**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://lentekhisgimnazia.edu.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**lentekhisgimnazia@gmail.com**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**599517747**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 27 აპრილის MES 1 26 0000485083 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 27 აპრილის MES 1 26 0000485083 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი **ა(ა)იპ ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში** დოკუმენტების შესწავლით. მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვილი იქნა №1 და №4 სტანდარტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფოტომასალა და სათანადო მტკიცებულებები.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები ასახული იქნა დასკვნის პროექტში.

ექსპერტთა დასკვნის პროექტი გაეგზავნა დაწესებულებას, რომლის გაცნობის შემდგომ გიმნაზიამ გამოაგზვნა თავისი არგუმენტირებული პოზიცია შესაბამისი დოკუმენტაციით.

ექსპერტები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს, რომლის საფუძველზეც შედგა დასკვნა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
180	**9**

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის 15 სექტემბრამდე, შვიდწლიანი სტარატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვროს მისიასთან თავსებადი მიზნები და ამ მიზნების შესაბამისი ამოცანები
სტანდარტი №3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		
სტანდარტი №2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი №1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	გიმნაზიამ გაითვალისწინოს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციის მოთხოვნები: სამუშაო ჯგუფში უნდა შედიოდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები.
ინდიკატორი №1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურველია, სკოლამ დამატებით აქტივობები განახორციელოს, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს უფრო დეტალურად გააცნოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. გარდა ამისა, ფოტომასალა, როგორ მტკიცებულება, უნდა იძლეოდეს თუ რა პროცესია, ამის იდენტიფიცირების საშუალებას.
ინდიკატორი №1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	მნიშვნელოვანია, სკოლამ სამოქმედო გეგმის შეფასება განახორციელოს იმგვარად, როგორც ეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით აქვს გაწერილი.
ინდიკატორი №1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	გიმნაზიის ვებგვერდზე გამოქვეყნდეს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში
სტანდარტი №4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**

ინდიკატორი №4.2.2.1	**კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**	მიზანშეწონილია, რომ სკოლამ შექმნას კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები.
ინდიკატორი №4.1.2.4	**სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**	სასურველია სკოლის ვებგვერდზე პერიოდულად ახლდებოდეს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების, დოკუმენტაციის, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი №1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი №1.1.1.3	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშაოს მისია, ხედვა და ღირებულებები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*შესრულებულია*
ინდიკატორი №1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	მოხდეს მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*შესრულებული*
ინდიკატორი №1.1.1.5	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლამ უზრუნველყოს მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*შესრულებულია*
ინდიკატორი №1.1.1.6	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.	სკოლის სახელწოდება შესაბამისობაში მოვიდეს მისი სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინთან, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*შესრულებულია*

ინდიკატორი №1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაიწეროს მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*არ არის შესრულებული*
ინდიკატორი №1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავდეს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*შესრულებულია*
ინდიკატორი №1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სამოქმედო გეგმაში განისაზღვროს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები.შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე)	*შესრულებულია*
ინდიკატორი №4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;	სკოლამ შეიმუშაოს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ასევე განსაზღვროს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე	*შესრულებულია*

		უფლებამოსილი პირი. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024-მდე	
ინდიკატორი №4.1.2.1	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სკოლამ განსაზღვროს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024 მდე)	*შესრულებულიაა*
ინდიკატორი №4.1.2.3.	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (15.01.2024 მდე)	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლის მისია:

ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება-ლენტეხის წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია მოსწავლეებს სთავაზობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილ უსაფრთხო პოზიტიურ გარემოს, ჯანსაღი სულიერი განვითარების შესაძლებლობებს, ქრისტიანული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ზიარებას, რაც მიიღწევა მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგიური მომსახურებითა და თანამშრომელთა პირადი მაგალითით, მოძღვართან ურთიერთობით, სასწავლო პროგრამებითა და ღონისძიებებით, მოსწავლის ოჯახთან თანამშრომლობით, რათა გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა მიღებული ცოდნა და აღზრდა გამოიყენონ წარმატებული ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ.

სკოლის ხედვა:

ქრისტიანულ ღირებულებებზე მოსწავლეთა აღზრდას ეფუძნება და სწავლა-სწავლების ხარისხზე ორიენტირებული გიმნაზიის შექმნაა, სადაც ჩამოყალიბებული იქნება კარგად ორგანიზებული მწყობრი სისტემა, რომელშიც ჰარმონიულ ურთიერთობაში დამკვიდრდება ამ სისტემის ელემენტები: მისია, სტანდარტები, შეფასება, პასუხისმგებლობა, ანგარიშვალდებულება, შესაბამისობა, ქრისტიანული კულტურა, თანამშრომლობა და მუდმივი გაუმჯობესება. ყველა ამ კომპონენტის გაცნობიერება და ამოქმედება აუცილებელი პირობაა მოსწავლეთა მაღალი მიღწევებისათვის, მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და სასწავლებლის სამომავლოდ განვითარებისათვის.

სკოლის ღირებულებები:

1.ქრისტიანული ღირებულებების აღიარება და პატივისცემა;

2.ადამიანის, ოჯახისა და საზოგადოების პატივისცემა;

3.უმცროს-უფროსობის კეთილდამოკიდებულება;
4.უსაფრთხო, ჯანსაღი და პოზიტიური გარემოს შექმნა;
5.მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული საგნობრივი პროგრამების შემუშავება;
6.კეთილგონივრული არაფორმალური განათლების განვითარება;
7.პიროვულ განვითარებასა და ურთიერთპატივისცემზე დამკვიდრებული სასკოლო სივრცის შექმნა;
სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

გიმნაზიას მისიასა და ხედვაში განცხადებული და განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ქრისტიანული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ზიარებას, რათა კურსდამთავრებულებმა მიღებული ცოდნა და აღზრდა გამოიყენონ წარმატებული ცხოვრებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმვის პროცესის წამოწყებამდე, გიმნაზიამ, აუცილებლად უწდა მოახდინოს საკუთარი გრძელვადიანი ხედვისა და მისიის ფორმულირება. ხედვა და მისია გუნდურად, გიმნაზიის თანამშრომლების, მოსწავლეთა და მშობელთა, ასევე სასკოლო საზოგადოებისა და, დაინტერესების შემთხვევაში, თემის აქტიური მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს. ამავე დოკუმენტის მიხედვით, ამ მიზნით დირექტორის ბრძანებით უნდა შეიქმნას დაგეგმვის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები და მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები. გიმნაზიის მიერ წარმოდგენილი იყო სკოლის დირექტორის 2024 წლის 3 სექტემბრის №2-60/ა ბრძანება ამ ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელშიც შედის 5 წევრი. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2024 წლის 20 ნოემბერს ჩატარდა მისიის, ხედვასა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო სხდომა №3, რომელსაც ესწრებოდნენ დირექტორი, მასწავლებლები, საქმისმწარმოებელი (სულ 5 წევრი). სხდომის ოქმის მიხედვით, ჯგუფმა დაადგინა, რომ

სამუშაო ჯგუფის წევრებმა წარადგინონ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი და მოხდეს მისი განხილვა სასკოლო საზოგადოების წევრებთან.

რჩევა: გიმნაზიამ გაითვალისწინოს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციის მოთხოვნები: სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებაში არ ჩანს, თუ ვინ არიან აღნიშნული წევრები. რამდენად არიან მათ შორის მასწავლებლები, მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლა მცირერიცხოვანია, ამდენად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობა, თავისთავად მეტყველებს, რომ სკოლის ფილოსოფია გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გიმნაზიამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებასთან დაკავშირებული ფოტომასალა, როგორც მტკიცებულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია, სკოლამ დამატებით აქტივობები განახორციელოს, რათა მშობლებსა და მოსწავლეებს უფრო დეტალურად გააცნოს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. გარდა ამისა, ფოტომასალა, როგორ მტკიცებულება, უნდა იძლეოდეს თუ რა პროცესია, ამის იდენტიფიცირების საშუალებას, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ფოტომასალიდან ირკვევა, რომ გიმნაზიის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, საინფორმაციო დაფაზეა წარმოდგენილი და, ასევე, განთავსებულია გიმნაზიის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება - **ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზია** - შეესაბამება მის სტატუსს და ზოგადი განათლების კანონის მოთხოვნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს
სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 20 №52 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება ისეთ მიდგომებს, როგორებიცაა: გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, მიზანშეწონილობა, სოციალური პასუხისმგებლობა. აქედან ჩანს, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მათი ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს
გიმნაზიამ წარმოადგინა 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, დამტკიცებული გიმნაზიის დირექტორის მიერ. თავდაპირველად გამოგზავნილ გეგმაში განსაზღვრული იყო წლების მიხედვით განსახორციელებელი აქტივობები, თუმცა არ იყო განსაზღვრული მიზნები. არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა 2026 წლის 15 სექტემბრამდე გეგმავს სკოლის შვიდწლიანი

სტარატეგიული განვითარების გეგმაში მისიასთან თავსებადი მიზნებისა და მიზნის შესაბამისი ამოცანების გაწერას. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია** და გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლამ შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის 15 სექტემბრამდე, შვიდწლიანი სტარატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვროს მისიასთან თავსებადი მიზნები და მიზნის შესაბამისი ამოცანები.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

გიმნაზიამ გამოაგზავნა 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

თავდაპირველად გიმნაზიის გამოგზავნილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული არ იყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ გამოაგზავნა 2024-2025 სასწავლო წლის ახალი რედაქცია, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების/ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. ამასთან, სკოლამ შესაბამისობის გეგმაში აღნიშნა, რომ ამ პრინციპით იხელმძღვანელებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას და 2026 წლის 15 სექტემბრისათვის დაასრულებს აღნიშნულ პროცესს. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს გეგმების შესრულების ზოგადი პროცესის აღწერას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

მეთოდოლოგიის დოკუმენტში, რომ სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს ორგანიზაციის დირექცია.

გიმნაზიამ წარმოადგინა 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში.

რჩევა: მნიშვნელოვანია, სკოლამ სამოქმედო გეგმის შეფასება განახორციელოს იმგვარად, როგორც ეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით აქვს გაწერილი.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

გიმნაზიის ვებგვერზე გამოქვეყნებულია 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში.

რჩევა: გიმნაზიის ვებგვერზე გამოქვეყნდეს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

რჩევა: გიმნაზიამ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მონაცემებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლამ შეიმუშავა და წარმოადგინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - ა(ა)იპ ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი. მიუხედავად ამისა, ეს დოკუმენტი წარმოადგენს ზოგადი დებულებების ჩამონათვალს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის, მათი დარღვევის შემთხვევაში რეაგირების შესაძლებლობების ჩამონათვალს. სკოლამ წარმოადგინა ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქციებს, არეგულირებს

ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. გიმნაზიის დირექტორის ბრძანებით, განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, ეს გახლავთ გიმნაზიის მთავარი კოორდინატორი ბავშვთა დაცვის სფეროში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნული ხორციელდება დამრიგებლების საშუალებით, წლის დასაწყისში მშობელთა კრებების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადები და შეწყვეტის პირობები, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის საფუძვლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების - ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;
- მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება.pdf;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. დოკუმენტში მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, პირველ კლასში ელექტრონული რეგისტრაციის, სკოლაში ჩასარიცხი დოკუმენტაციის წარდგენის ვადები, თავად დოკუმენტაციის ჩამონათვალი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი, საჭირო დოკუმენტაცია, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების წესი. მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, სტატუსის აღდგენის წესი, მობილობის წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად გაწერილ მექანიზმებს, რაც დასტურდება გიმნაზიის მიერ წარდგენილი დოკუმენტებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

გიმნაზიის ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის მომსახურების სახეები, პირობები, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია, ასევე სკოლის შინაგანაწესი და გარემოსთან ადაპტაციის წესი. შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლამ წარმოადგინა ვებგვერდის ლინკი, სადაც წარმოდგენილია განახლებული დოკუმენტაცია მიმდინარე პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ, რომელიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის განახლებული ვებგვერდი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს

ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებულ შიდა ინსტრუქციებს, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესი;

- ბრძანება შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

გიმნაზიამ წარმოადგინა ბრძანება №2-09, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება - ა(ა)იპ ლენტეხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ, სადაც გაწერილია ადაპტაციის მექანიზმები. დოკუმენტი შეიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები, პირველკლასელთა, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსული მოსწავლეთა ადაპტაციის წესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, თუ როგორ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას. გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის გაცნობას დასაქმებული და დაინტერესებული პირებისათვის, ასევე ყველა იმ ღონისძიების გატარებას, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ადაპტაციაში. შესაბამისად, ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, გიმნაზიის კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. საშემოდგომო გამოცდის დანიშვნის შემთხვევაში, მოსწავლეებს გაეწევათ კონსულტაციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

გიმნაზია მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას მათი უფლებების რეალიზების მიზნით. რეგულაციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში, გარემოსთან მოსწავლის ადაპტაციის წესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში.

მოსწავლეთა ადაპტაციის წესში გაწერილია პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. ასევე დოკუმენტში გაწერილია სწავლის დაწყების პირველი დღე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

გიმნაზიაში წარმოადგინა სადამრიგებლო ოქმები და სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი, სადაც წარმოდგენილია არაფორმალური განათლებისა და აქტივობების შესახებ გაწეული სამუშაოს ანგარიში, კერძოდ, მოსწავლეებმა განახორციელეს რამდენი პროექტი“ ეკოლოგიური აქცია — „მწვანე და სუფთა სასკოლო გარემო“ (დედამიწის საერთაშორისო დღე) და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლამ წარმოადგინა მოკვლევის ანგარიში, რომელშიც ჩანს, რომ სკოლა აფასებს სხვადასხვა პროცესს და მიღებულ შედეგებს იყენებს პროცესების დასახვეწად, მაგ.: წარმოდგენილია არაფორმალური განათლებისა და აქტივობების შესახებ გაწეული სამუშაოს ანგარიში, კარიერული დაგეგმვისა და მოსწავლეთა ინტერესების შესახებ გაწეული ღონისძიებების შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სადამრიგებლო ოქმი N1;
- სადამრიგებლო ოქმნი N2;
- სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის, გიული ლობჟანიძის, მოხსენებითი ბარათი;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლას გადმოგზავნილი აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საპატრიარქოს განათლების ცენტრსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მიზანშეწონილია, რომ სკოლამ აღნიშნული მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები შექმნას.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო ოქმებიდან ჩანს რომ, სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ გადმოგზავნილ სადამრიგებლო ოქმებსა და მოხსენებით ბარათში ჩანს რომ სკოლა, გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ითვალისწინებს შეფასების შედეგებს და შედეგების შესაბამისად გეგმავს მომდევნო ნაბიჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საპატრიარქოს განათლების ცენტრსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის;
- სადამრიგებლო ოქმი N1;
- სადამრიგებლო ოქმნი N2;
- სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის, გიული ლობჟანიძის, მოხსენებითი ბარათი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები განხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურად იქნება ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა გაითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად იქნება მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შეიქმება სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დადებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი შეხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ მოხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. ადმინისტრაციამ წარმოადგინა ისგ ნიმუში, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლამ წარმოადგინა წინასწარ გაწერილი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის სკოლის დებულება და სსსმ მოსწავლის- არსებობის შემთხვევაში მზაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა მსგავსი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სასწავლო პროცესის სწორად წარმართვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დებულება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სკოლა დამატებით მომსახურებად მოსწავლეებს სთავაზობს ქართული ხალხური და საეკლესიო გალობის წრეს. აღნიშნული დასტურდება წრის დებულებით, სადაც გაწერილია მიზანი, პრინციპები, სტრუქტურა და ფუნქციები, წევრობა, მოვალეობები, რეპერტუარი და გარიცხვის წესი. სხვა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შესახებ ინფორმაცია არ მოიძებნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლა დამატებით მომსახურებად მოსწავლეებს სთავაზობს ქართული ხალხური და საეკლესიო გალობის წრეს. აღნიშნული წრე ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

აღნიშნული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ქართული ხალხური და საეკლესიო გალობის წრე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი:
29.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: